ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 23/2

ქ. ხობი 10 მაისი 2013 წელი.

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N189, საიდენტიფიკაციო კოდი 244688600; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N33030862, სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 220101465; მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ ბენიძის სახით

და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი „ვლადიმერ ხურცია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი: ხობი, ნინოშვილის ქ. N4; პირადი N 58001004433, ტელ: 593 792933 საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N GE08LB0288870040277163, ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის, ბანკის კოდი 220101465, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვლადიმერ ხურციას სახით,

ხელშეკრულების დადების საფუძველი:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის „ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე მგლის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ" 2012 წლის 31 ივლისის N22 ხელშეკრულება.

ბ)საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის „ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე ტურის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ" 2013 წლის 18 მარტის N03 ხელშეკრულება.

გ) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ ა.სართანიას მოხსენებითი ბარათი N10/871 01.05.2013 წ

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი.

1.1 ხელშეკრულების ობიექტია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის 1ინდივიდის და ტურის 15 ინდივიდის ჩასაფრების წესით ბუნებიდან ამოღება . (მგლის 1 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების ღირებულება- 330 ლარი, ტურის 1 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების ღირებულება-50 ლარი).

1.2 კლასიფიკატორის კოდი-77600000

მუხლი 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (დღგ-ს გარეშე) ჩათვლით შეადგენს **1080.00** (ერთი ათას ოთხმოცი ლარი) ლარი.

მუხლი 3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში

სტანდარტებთან შესაბამისობით

მუხლი 4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

4.1 მგლის ინდივიდის ბუნებიდან ამოღება უნდა განხორციელდეს - **2013 წლის 31** ივლისამდე.

4.2 ტურის ინდივიდის ბუნებიდან ამოღება უნდა განხორციელდეს - **2013 წლის 31** აგვისტომდე.

მუხლი 5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღეში.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

არ გამოიყენება

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად და წესების დაცვით (იგულისხმება ისეთი ხერხით,რომელიც გამორიცხავს სხვა სახეობის გარეულ ცხოველებზე ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფს გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებას) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და უზრუნველყოს ღონისძიების შედეგად ამოღებული მგლის და ტურის ინდივიდის განადგურება დამარხვით ან დაწვით გამგეობის წარმომადგენლის თანდასწრებით , რაზედაც დგება აქტი. დაუშვებელია ამოღებული მგლის და ტურის ინდივიდის, ან მისი ნაწილების გაყიდვა ან რაიმე ფორმით გასხვისება .

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ფორსმაჟორული სიტუაციები -

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 სექტემბრამდე.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტის წესი

ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

მუხლი 14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ ა. სართანია.

მუხლი 15 . სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოს მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელისმოწერა და ბეჭედი

ხელშეკრულება შეთანხმებულია:

1. გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ჯობავა

2. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის

უფროსის მ/შ: ა. სართანია.

3. გამგეობის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა

4. გამგეობის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების

უფროსი: ბ. შონია

5. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების

უფროსი: შ. სირაძე

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის

მოვალეობის შემსრულებელი

კახაბერ ბენიძე

ფიზიკური პირი

ვლადიმერ ხურცია